დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

მართვის ორგანოებში არჩევისა/დანიშვნის წესი

თბილისი, 2017

ამონაწერი: შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
წესდება
უმაღლესი სამედცინო სკოლა „აიეტის“მედიცინის ფაკულტეტის წესდება;
დამტკიცებული
რექტორის 2017წლის 23 დეკემბრის N66 ბრძანებით
შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
თვითმმართველობის ორგანოების შესახებ დებულება;
დამტკიცებული:
რექტორის 2017 წლის 23 დეკემბრის N69 ბრძანებით

შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“

მართვის ორგანოებში არჩევისა/დანიშვნის წესი

იმის გამო, რომ უნივერსიტეტი წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, იგი განთვისუფლებულია მართვის ორგანოებში პირთა არჩევის წესის დადგენის ვალდებულებისაგან, თანახმად უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილისა, განსხვავებით აკადემიური პერსონალის არჩევის წესისა, (ამავე კანონის 32-ე 35-ე მუხლები), რომელსაც დაწესებულება იცავს და შემუშავებული აქვს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის წესი და პროცედურა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მართვის ორგანოებში პირთა დანიშვნა ხორციელდება, პირდაპირი წესით, დამფუძნებლის და რექტორის მიერ, კერძოდ:

უნივერსიტეტის რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი;

რექტორი თანამდებობაზე ნიშნავს პრორექტორებს, კანცლერს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დეკანს, სამედიცინო განათლების ცენტრის დირექტორს, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს.

ყველა სხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები თანამდებობაზე ინიშნება უშუალო ხელმძღვანელის ან/და რექტორის მიერ რექტორის საბჭოსათვის კანდიდატის წარდგენითა და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით.

მართვის ორგანოებში, კანონმდებლობასთან შესაბამისი და სამართლიანი, დანიშვნის წესი გარანტირებულია დაწესებულების წესდებით, შინაგანაწესითა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით.